# არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“

## NNLE „ART, SPORT AND YOUTH DEVELOPMENT CENTER OF RUSTAVI CITY”

**ბრძანება #129**
**2019 წლის 29 მარტი**

***„ოთარ ხმელიძის სახელობის მე-8 საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში“ ორგანიზების და საზეიმო ვახშმის გამართვის შესახებ***

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 ივნისს მიღებული #547 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“_ს წესდების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს მიერ დამტკიცებული „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ოთარ ხმელიძის სახელობის მე-8 საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში“ დებულების, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 26 მარტის #03-334 სამსახურეობრივი ბარათის და საფინანსო განყოფილების უფროსის 2019 წლის 29 მარტის #03-366 სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე

***ვბრძანებ:***

1. ა(ა)იპ ქ. რუსთავის სახელოვნებო, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი”-ს ორგანიზებით 2019 წლის 30 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით გაიმართოს „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ოთარ ხმელიძის სახელობის მე-8 საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში“;
2. ტურნირის ორგანიზებისთვის საჭირო მომსახურებისათვის გამოიყოს თანხა **1575.50** (ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით;
3. ტურნირის გამარჯვებულებს გადაეცეთ 1 თასი 45 სმ, 1 თასი 35 სმ, 2 თასი 25 სმ, 1 სპეციალური თასი 80 სმ, სიგელები I ადგილი 15, II ადგილი 15, III ადგილი 15;
4. საზეიმო ვახშმისათვის გამოიყოს თანხა **1500** (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;
5. პირველი პუნქტით განსაზღვრული სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების დეპარტამენტის გუნდური სპორტის სახეობების განყოფილების კალათბურთის მწვრთნელი ირაკლი მებურიშვილი (პ/ნ 35001030117);
6. დაევალოს საფინანსო განყოფილებას (ქეთევან ვაშაკიძეს), ბრძანების მე-2 და მე-4 პუნქტის უზრუნველსაყოფად, განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები;
7. დაევალოს ოპერაციული მართვის დეპარტამენტის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსს (გიორგი კოკაიას) ბრძანების მე-3 პუნქტის უზრუნველსაყოფად, განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები;

8. დაევალოს „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“_ს ოპერაციული მართვის დეპარტამენტის საორგანიზაციო განყოფილებას წინამდებარე ბრძანების საფინანსო განყოფილებისათვის, ლოჯისტიკის განყოფილებისათვის და სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების დეპარტამენტისათვის გაცნობა;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ. #6 )

ა.(ა).ი.პ ,,ქ. რუსთავის სახელოვნებო,

სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი” დირექტორი

გეგი ლიპარტელიანი

culture youth and sport development center of rustavi municipality

Digitally signed by culture youth and sport development center of rustavi municipality
DN: cn=culture youth and sport development center of rustavi municipality, 2.5.4.97=NTRGE-416314090, o=culture youth and sport development center of rustavi municipality, c=GE
Date: 2019.04.08 12:04:00 +04'00'

დანართი N1

ხარჯთაღრიცხვა

| დასახელება | განზ.ერთ. | რაოდ | ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| ორი მსაჯის მომსახურება-27 თამაშზე | | 2 | 688.5 | 1377 |
| სასმელი წყალი | | 100 | 0.5 | 50 |
| მსაჯების კვებითი მომსახურება 5 დღე | | 5 | 29.7 | 148.5 |
| **ჯამი:** | | | | **1575.5** |
| საზეიმო ვახშამი (სარესტორნო მომსახურება ) | | 1 | 1500 | 1500 |
| | | | | 0 |
| **ჯამი:** | | | | **1500** |
| **სულ ჯამი:** | | | | **3075.5** |

**საფინანსო განყოფილების უფროსი: ქეთევან ვაშაკიძე**